



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011727239822921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 122114

22 / მარტი / 2021 წ.

**გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 121770/17; თარიღი: 16.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ირინე საგანელიძე (პირადი ნომერი 01008000372).

**გადანწყვეტილების გამომცემი/ქმედების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

**გასაჩივრებელი გადანწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020571265-16 (04.03.2021 წ.) გადანწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა:** გასაჩივრებელი გადანწყვეტილების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, სოფელი კვესეთი.

№ 882020571265 სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული სიტუაციის ამსახველი ნახაზის მიხედვით, სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებსა და 81.01.07.539 საკადასტრო კოდით (მესაკუთრე - თამაზ შათირიშვილი (პირადი ნომერი 35001008570)) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება.

№121770/17 (16.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი, ხოლო ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით გარანტირებულია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ბ ა:**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ირინე საგანელიძის (პირადი ნომერი 01008000372) № 121770/17 (16.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. №121770/17 (16.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს: თამაზ შათირიშვილი (პირადი ნომერი 35001008570).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურსა და ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს.

4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორექსონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორექსონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემენტურულად 

დავით დევიძე